



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
მორიგი სხდომის

№ 5

ქ. ბათუმი

2019 წლის 12 აპრილი
11⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

მ ს შ რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

| | |
|----------------------|--|
| თამაზ სალუქვაძე | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| ლაშა სირაბიძე | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| გოჩა მგელაძე | საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| ირაკლი პატარიძე | საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ზურაბ ნაკაიძე | საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| ომარ მახარაძე | საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ნატალია ზოიძე | საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე; |
| ბესარიონ გოგოტიშვილი | საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე; |

| | |
|-------------------|--|
| ანზორ დევაძე | საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე; |
| დავით მახარაძე | საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარის მოადგილე; |
| ნატალია ძიძიგური | საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე; |
| ნერიმან ცინცაძე | საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე; |
| მირდატ ქამადაძე | საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე; |
| ნოდარ დუმბაძე | საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე; |
| ელგუჯა ანდრიაძე | საკრებულოს წევრი; |
| არჩილ მამულაძე | საკრებულოს წევრი; |
| თამაზ დევაძე | საკრებულოს წევრი; |
| რაულ თავართქილაძე | საკრებულოს წევრი; |
| ლევან ანთაძე | საკრებულოს წევრი; |
| ირაკლი თოფურიძე | საკრებულოს წევრი; |
| მუხამედ ართმელაძე | საკრებულოს წევრი; |
| როინ ზოიძე | საკრებულოს წევრი. |

არ ესწრებოდა:

დემეტრი ჭეიშვილი საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

სხდომას ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ :

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი - თ. პეტრიძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ნ. დეკანაძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ე. ლომაძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ე. ნატარძე;
- შპს „ბათუმის წყალის“ დირექტორი - მ. გვიანიძე;
- ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს“ დირექტორი - ს. ევგენიძე;
- ა(ა)იპ - „მუნიციპალური სერვისების სააგენტოს“ დირექტორი-ჯ. კობალაძე;
- ა(ა)იპ - „ბათუმის კულტურის ცენტრის“ დირექტორი - ჯ. საბაშვილი;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები: საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე; იურიდიული განყოფილების უფროსის მ/შ - ელენე ჭოლიკიძე; საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე; მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტები - გურანდა აბულაძე და ბადრი წულუკიძე. პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ მოახსენა სხდომაზე დამსწრე-საზოგადოებას, რომ საკრებულოში დაფუძნდა ფრაქცია „ბათუმი“, რომლის თავმჯდომარეა რაულ თავართქილაძე, მოადგილე არჩილ მამულაძე და ფრაქციის წევრი ელგუჯა ანდრიაძე, რომლებსაც წარმატებები უსურვა.

მან სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო მორიგი სხდომის დღის წესრიგი:

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

1. „პირადი განცხადების საფუძველზე ირაკლი მიქელაძისათვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის ცნობად მიღების შესახებ“ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილებს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ელენე ჭოლიკიძე)

2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №70 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილებს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ელენე ჭოლიკიძე)

3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №73 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილებს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ელენე ჭოლიკიძე)

4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის N74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე)

5. „ტერენტი გრანელის ბიუსტის განთავსების შესახებ“ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2019 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ნუკრი დევანაძე)

7. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და შპს „NEWLINE“-ს შორის დადებულ, პირობებით გამოცხადებული აუქციონის 2018 წლის 17 მაისის №8 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი ეგარსლან ლომაძე)

8. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილებს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ელენე ჭოლიკიძე)

9. ინფორმაცია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ავარიული და სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი საცხოვრებელი შენობა-ნაგებობების შესახებ.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი ეგარსლან ლომაძე;

თანამომხსენებელი: ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს“ დირექტორი სულხან ეგვინიძე

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 23 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23

წინააღმდეგი - 0

საკრებულოს თავმჯდომარემ - ს. თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე. მან საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით გადაგზავნა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ აღნიშნა, რომ მას აქვს აღებული ხალხთა მიმართებაში დიდი ვალდებულება. ის ყველა კეთილ მიმართულებას დაუჭერს მხარს, მაგრამ სხვა შემთხვევაში კი ოპონირებას გააგრძელებს. ასევე არაერთხელ დააყენა საკითხი ანგისის დასახლებასთან მიმართებაში, კერძოდ: ანგისის პირველ შესახვევში საშინელ მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობის პრობლემების მოგვარების საკითხი.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ აღნიშნა, რომ დექსტერ დეველოპმენტის სახელით იყო შემოსული განცხადება, რომლის საფუძველზე მიზანმიმართული ზეწოლა ხორციელდება ორგანიზაციაზე, რომლის პროცესებში უშუალოდ ბათუმის მერის და აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ინტერესებს ხედავს. თვითმმართველობა გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად ვერ იღებს და მერის საქმიანობაში აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე ერევა. გამომდინარე აქედან სხვა ადრესატების მიერ ერთობლივი წერილი მომზადდა, რომლითაც ამ ადამიანს მიეთითა, რომ მიმართოს სასამართლოს. აღნიშნული საკითხის ირგვლივ მოწვეული უნდა იქნას ბათუმის მერი კითხვებზე საპასუხოდ. განცხადებაში მოყვანილი ფაქტები შეესაბამებოდა თუ არა სიმართლეს. ასევე მან მიმართა სხდომის თავმჯდომარეს, საკრებულოდან განცხადების გაგზავნის შესახებ, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე, რადგან ვალდებული არიან დამფუძნებელ ორგანიზაციას მიაწოდონ საჯარო ინფორმაცია, მათ შორის თანამშრომლების, არის თუ არა ამ კომპანიებში ნეპოტიზმი. მათ აქვთ ინფორმაცია, რომ მერის ლაშა კომახიძის, საკრებულოს თავმჯდომარის სულიკო თებიძის ნათესავები არიან ამ კომპანიებში დანიშნულები, მაღალანაზღაურებად თანამდებობებზე, სწორედ ამიტომ უნდათ იცოდნენ, თუ რა ნიშნით შეირჩა ეს ხალხი და გადაამოწმონ, რეალობას შეესაბამება თუ არა ეს ინფორმაცია. მ. ქამადაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისინი არ ითხოვენ საჯარო ინფორმაციას, შპს-ების დამფუძნებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები „მეწარმეთა შესახებ“ კანონის თანახმად, ანგარიშვალდებულია თავის დამფუძნებელთან.

საკრებულოს წევრმა ნ. ზოიძემ აღნიშნა, რომ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ შპს-ებს სთხოვს სამტატო ნუსხას (სახელობითი სიით, დაბადების თარიღით და ტელეფონის ნომრებით). ის ფიქრობს, რომ თავმოყვარე ორგანიზაციის ხელმძღვანელი თავისი თანამშრომლების პერსონალურ ინფორმაციას არ მოგაწვდით. ფრაქციას შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

საკრებულოს წევრმა ო. მახარაძემ განაცხადა, რომ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ შეგნებულად ავრცელებს არასწორ ინფორმაციას, ფორმულირებას, საკრებულო არის შპს-ების და ა(ა)იპების დამფუძნებელი ორგანიზაციები, თუმცა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის შესაბამისად არ მოგეწოდებათ, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმართეთ სასამართლოს.

საკრებულოს წევრმა ნ. ზოიძემ აღნიშნა, რომ განცხადების პასუხად შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ მიერ მოწოდებულია 534 თანამშრომლის სახელი, გვარი, თანამდებობა, ხელფასი.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პრესისა და მასმედიის წარმომადგენლებს დაინტერესების შემთხვევაში შეუძლიათ გადაამოწონ ელექტრონულ პროგრამაში ზუსტად ის ინფორმაცია, რაც ნ. ზოიძეს აქვს, რომელიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქვს მიწოდებული, თუმცა მათ არ აქვთ ნანახი. ასევე ყველა მათი შენიშვნასა და განცხადებებზე, რომელიც ისმება საკრებულოს სხდომაზე, ბათუმის მერიიდან ღებულობენ პასუხებს, რომელიც ეგზავნებათ ადრესატებს. შპს-ებიდან მიღებული პასუხები გაგზავნილია ელექტრონული პროგრამით ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარესთან, მაგრამ დიდი ხანია ისინი არც ერთ სხდომას ბოლომდე არ დასწრებიან, არც ბიუროს მუშაობაში ღებულობენ მონაწილეობას, მხოლოდ კამერების წინ ხმაურობენ, თითქოს მოსახლეობას აჩვენებენ, რომ მუშაობენ. ეს მათი ტაქტიკაა. დეზინფორმაციის გავრცელებით მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას ცდილობენ. დღეს ძალიან მომზადებულები მოვიდნენ და აკეთებენ იმას, რაც უნდათ.

ბათუმის საკრებულოს სხდომაზე დღეს, საკრებულოს დეპუტატები ფიზიკურად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარემ ნ. ზოიძემ მოითხოვა ფრაქციის სახელით 10 წუთიანი შესვენება.

სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება 11.50 სთ.

სხდომა განახლდა 12.00 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მოხდა სამწუხარო ფაქტი, რომელიც ბათუმის საკრებულოში არ მომხდარა, ვგმობ საქციელს. ის სარგებლობს საკრებულოს თავმჯდომარის უფლებამოსილებით და საკრებულოს წევრებს და დამსწრე-საზოგადოებას შეახსენა საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 88-ე მუხლის მეორე პუნქტი, რომლის საფუძველზე გასცა ბრძანება და დაცვას სთხოვა აღსრულება, კერძოდ: საკრებულოს სხდომაზე დამსწრე, არასაკრებულოს წევრი გამევეებული იქნას დარბაზიდან, რომელიც ქმნის უწესრიგობას, რომლითაც ხელს უშლის სხდომის მიმდინარეობას. სხდომიდან გამევეებულ ადამიანს უფლება არ აქვს სხდომაზე დაბრუნებისა. სხდომიდან გამევეებულ იქნას, გარდა პრესის, მომხსენებლების და მოწვეული პირებისა.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ განაცხადა, რომ მოქალაქეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაატოვებინონ საკრებულოს დარბაზი, თუ მან ხელი შეუშალა სხდომას და მოითხოვა სახელობითი სია, თუ ვინ შეუშალა ხელი სხდომის მიმდინარეობას.

ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ თავმჯდომარემ ნ. ძიძიგურმა მოითხოვა ფრაქციის სახელით 10 წუთიანი შესვენება.

სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება 12.10 სთ.

სხდომა განახლდა 12.20 სთ.

შესვენების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ განაცხადა, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

1. „პირადი განცხადების საფუძველზე ირაკლი მიქელაძისათვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის ცნობად მიღების შესახებ“ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილებს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ელენე ჭოლიკიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პირადი განცხადების საფუძველზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად უნდა იქნეს მიღებული ირაკლი მიქელაძისათვის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ გ ე ს :

საკრებულოს წევრმა ნ. ზოიძემ მადლობა გადაუხადა ირაკლი მიქელაძეს, ის არის ერთ-ერთი საუკეთესო პიროვნება, რომელიც თავის სიტყვას კიდევ იტყვის ქვეყნისთვის. სამწუხაროდ პირადი გადაწყვეტილებაა და საკრებულო განკარგულებას ღებულობს ცნობად.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მტკივნეულია ირაკლი მიქელაძის გადაწყვეტილება, მან დატოვა დეპუტატთა რიგები. ის იყო გამოცდილი და კარგი პოლიტიკოსი. მან ოჯახური მდგომარეობის გამო დატოვა საკრებულოს წევრის უფლებამოსილება.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №70 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილებს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ელენე ჭოლიკიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინამდებარე პროექტის მიღება განპირობებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2019 წლის 29 მარტს საკრებულოს წევრ ირაკლი მიქელაძის მიერ წარმოდგენილი №11/47 განცხადებით, რომლის თანახმადაც მან მიიღო გადაწყვეტილება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან გასვლის შესახებ. შესაბამისად საჭიროა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის პერსონალურ შემადგენლობაში ცვლილების შეტანა და ირაკლი მიქელაძის გასვლა მისი შემადგენლობიდან.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა: 2 (ზ. ნაკვიძე, მ. ქამადაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა - 3 (ლ. ანთაძე, ნ. დუმბაძე, რ. ზოიძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №73 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილებს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ელენე ჭოლიკიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინამდებარე პროექტის მიღება განპირობებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2019 წლის 29 მარტს საკრებულოს წევრ ირაკლი მიქელაძის მიერ წარმოდგენილი №11/47 განცხადებით, რომლის თანახმადაც მან მიიღო გადაწყვეტილება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან გასვლის შესახებ. შესაბამისად საჭიროა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის პერსონალურ შემადგენლობაში ცვლილების შეტანა და ირაკლი მიქელაძის გასვლა მისი შემადგენლობიდან.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა: 2 (ზ. ნაკაიძე, მ. ქამადაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 3(ლ. ანთაძე, ნ. დუმბაძე, რ. ზოიძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი
განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის N74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი -
ედნარ ნატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით იზრდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები 1,124,9 ათასი ლარით. მათ შორის: სპეციალური ტრანსფერი 533,6 ათასი ლარით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა „ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის“ პროექტის ფარგლებში შესყიდული საქონლისა და მომსახურების დღგ-ის 50% გადახდის მიზნით. სხვა შემოსავლები 591,3 ათასი ლარით, ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური შეთანხმების გაცემისათვის და შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების 3 თვის ფაქტიური შესრულების გათვალისწინებით იზრდება წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახდელები იზრდება 1,124,9 ათასი ლარით.
დანართი თან ერთვის.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ დასვა შეკითხვა კობალაძის კვეთაში, ინასარიძის ქუჩის გაგრძელებაზე ავარიულ მდგომარეობაში გზის რეაბილიტაციის შესახებ. დღეს წარმოდგენილი ბიუჯეტის ცვლილებაში არ არის შეტანილი აღნიშნული ქუჩების რეაბილიტაცია, რაზედაც მერის მოადგილემ თ. პეტრიძემ უპასუხა, რომ ინასარიძის ქუჩის გაგრძელების შეკეთება ბიუჯეტით გათვალისწინებულია, ტენდერი გამოცხადებულია და ხელშეკრულებაც გაფორმებულია, რომელიც მოიცავს არა მარტო ინასარიძის ქუჩის მონაკვეთს, არამედ ჟილინის არხის

მიმდებარე ტერიტორიას, ინასარიძის ქუჩის №11 -ის უკანა მხარეს, საკმაოდ მოცულობითი პროექტია, იქვეა დაგეგმილი საპარკინგესა და სკვერის მოწყობა. შესაბამისად შესყიდვა ორწლიანია.

საკრებულოს წევრმა ნ. დუმბაძემ დასვა შეკითხვა მრავალშვილიანი ოჯახების პროგრამის თაობაზე, კერძოდ რეგისტრაციის ვადების დაცვას ექცევა თუ არა ყურადღება, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ პროგრამა გაწერილია და მითითებულია დეტალურად ვადები, გარდა ამისა რეგისტრაცია ქ. ბათუმში უნდა ჰქონდეს მოქალაქეს, ასევე აღრიცხვაზე უნდა იმყოფებოდეს ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში.

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოში ტრადიცია გრძელდება ბიუჯეტში საშტატო ერთეულები იზრდება, კერძოდ ბოტანიკურ ბაღში, ასევე დასვა შეკითხვა ბათუმობის დღესასწაულზე დაგეგმილი ღონისძიებების თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბოტანიკურ ბაღში შრომითი ხელშეკრულება გაფორმდება 132 ადამიანზე, ჯამში 19 თანამშრომელი ემატება, ასევე მოცემული ორგანიზაცია არ ფინანსდება ბათუმის ბიუჯეტიდან.

ჯ.საბაშვილმა ბათუმობის დღესასწაულთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაემატა გალა კონცერტისა და შემოქმედებითი ჯგუფების ჰონორარები, რომლებთანაც წარმოებს მოლაპარაკებები ხელშეკრულებების გასაფორმებლად.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკრებულოს ბიუროს სხდომის გადაწყვეტილებით დაფუძნდა ფრაქცია „ბათუმი“, რომელიც საჭიროებს საშტატო ნუსხაში და ბიუჯეტში ცვლილებას. კერძოდ უნდა დაემატოს 2 საშტატო ერთეული-ფრაქციის თავმჯდომარე და მოადგილე. შესაბამისად შრომის ანაზღაურების ფონდი გაიზრდება 11 ათასი ლარით, საკრებულოს ასიგნების საქონელი და მომსახურების მუხლის შემცირების ხარჯზე ანუ საკრებულოს საერთო ბიუჯეტი ამით არ იცვლება. ამისთვის საჭიროა მერის წარმომადგენლის თანხმობა, რაზედაც მომხსენებელმა თანხმობა გასცა.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი, ცვლილების გათვალისწინებით დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 22 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა - 1 (ა. მამულაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18
წინააღმდეგი - 4 (მ. ქამადაძე, ლ. ანთაძე, ნ. დუმბაძე, რ. ზოიძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, ცვლილების გათვალისწინებით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 5. „ტერენტი გრანელის ბიუსტის განთავსების შესახებ“ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი პატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ტერენტი გრანელს მიმდინარე წელს უსრულდება დაბადებიდან 120 წელი. კვირკველიების საგვარეულო არაერთხელ ითხოვა შუამდგომლობა ტერენტი გრანელის ბიუსტის განთავსებასთან დაკავშირებით. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურთან შეთხმებული პროექტის თნახმად ტერენტი გრანელის ბიუსტი უნდა განთავსდეს ქ. ბათუმში, შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოპირდაპირედ, ცენტრალურ პარკის ტერიტორიაზე. განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ბიუსტის განთავსებას, თავისი ხარჯებით უზრუნველყოფს კვირკველიების საგვარეულო კავშირი.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 23 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19
წინააღმდეგი - 4 (მ. ქამადაძე, ლ. ანთაძე, ნ. დუმბაძე, რ. ზოიძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2019 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ნუკრი დეკანაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2019 წლის გეგმის შექმნის მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 101-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტისა და „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის მასში ჩართული უწყების უფლებამოსილებებისა და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის №319 დადგენილებისა და „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილების შესაბამისად განსაზღვრული ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების პრინციპებისა და წესის შექმნის საჭიროება. პროექტის მიზანია მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების, შესაბამისი ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების, მათვის დაკისრებული მოვალეობების ეფექტიანად შესრულების ხელსეწყობის მიზნით, კვალიფიკაციის ამაღლების მოქნილი სისტემის შექმნა.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18 საკრებულოს წევრი

არ ესწრებოდა - 5 (ი. პატარიძე, ლ. ანთაძე, მ. ქამადაძე, რ. ზოიძე, ნ. ძიმიფური.)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 1(ნ. დუმბაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

7. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადამასრულებელ ორგანოსა და შპს “NEWLINE”-ს შორის დადებულ, პირობებით გამოცხადებული აუქციონის 2018 წლის 17 მაისის №8 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის № 34 განკარგულების პირველი პუნქტის შესაბამისად, ქ. ბათუმში, ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩაზე (შ. ხიმშიაშვილის ქ. №9ა-ს მიმდებარედ) მდებარე 581,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.24.05.191) შეტანილი იქნა საპრივატიზებო უძრავი ობიექტთა ნუსხაში. განკარგულების მე-2 პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული მიწის ნაკვეთი შეტანილი იქნა უძრავი ქონების პრივატიზების გეგმაში, რა დროსაც მიწის ნაკვეთის საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვრა 240 000,0 (ორას ორმოცი ათასი) ლარის ოდენობით, ხოლო გამოსაცხადებელი აუქციონის ფორმა განისაზღვრა „პირობიანიტ“. ამავე განკარგულების მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცა თანხმობა ხსენებული მიწის ნაკვეთის განკარგვის შესახებ და განკარგულების შესრულების მიზნით დაევალა უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 18 აპრილის №1580 ბრძანების საფუძველზე, სსიპ „ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო“-ს ელექტრონული აუქციონის ვებპორტალზე - www.eauction.ge გამოცხადდა პირობიანი ელექტრონული აუქციონი N1, რომელზეც N1IMF118 განაცხადით პრივატიზების მიზნით, N1 ლოტად გამოტანილი იყო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩაზე (შ. ხიმშიაშვილის ქ. N9ა-ს მიმდებარედ) მდებარე 581,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.24.05.191). ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური შეადგენდა 240000,0 (ორას ორმოცი ათასი) ლარს, ვაჭრობის ბიჯი - 5000,0 (ხუთი ათასი) ლარს, ბე/საგარანტიო თანხა კი - 72000,0 (სამოცდათორმეტი ათასი) ლარს. სააუქციონო პირობად განისაზღვრა - „1. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე ააშენოს ერთ-ერთი შემდეგი საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტ(ებ)ი: საგამოფენო დარბაზი, უნივერსალური მაღაზია, სავაჭრო ცენტრი, სილამაზის სალონი, ოფისი. მშენებლობა დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 თვის ვადაში და დაასრულოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 16 თვის ვადაში. 2. აუქციონში გამარჯვებულს (მყიდველი) ეკრძალება შექმნილ მიწის ნაკვეთზე განათავსოს სხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობა ან/და აშენებული შენობა-ნაგებობა გამოიყენოს სხვა დანიშნულებით, გარდა პირველ პუნქტში მითითებული ობიექტებისა. 3. მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა ძალაშია ნასყიდობის ხელშეკრულების დადებიდან 10 წლის განმავლობაში. 4. საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტ(ებ)ის (შენობ(ებ)ის) სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 10 მეტრს (2 სართული).“ ელექტრონული აუქციონი დაიწყო 2018 წლის 18 აპრილს 17:30 საათზე და დასრულდა 02 მაისს 15:14 საათზე. ელექტრონულ აუქციონში გაიმარჯვა იურიდიულმა პირმა - შპს „NEWLINE“-მა (საიდ/კოდი 248435180). გამარჯვებულის მიერ შემოთავაზებული იქნა და შესაბამისად ქონების სრული საპრივატიზებო საფასური განისაზღვრა **630 000,0 (ექვსას ოცდაათი ათასი) ლარის** ოდენობით. ზემოთ ხსენებული უძრავი ქონების ელექტრონულ აუქციონზე პრივატიზების შესახებ 2018 წლის 02 მაისს შედგა აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი (ადმინისტრაციული დაპირება) №1/2018. ოქმის შესაბამისად, აუქციონში

გამარჯვებულთან ნასყიდობის ხელშეკრულება უნდა დადებულიყო ოქმის შედგენიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო ქონების შემძენს შეძენილი ქონების სრული ღირებულება ბეს/საგარანტიო თანხის (72000,0 ლ) გამოკლებით, სრულად უნდა გადაეხადა ხელშეკრულების დადებიდან 3 თვის ვადაში. ქონების შემძენსა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს შორის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო ოქმით გათვალისწინებულ ვადაში - **2018 წლის 17 მაისს**, ხოლო ქონების შემძენმა შეძენილი ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის დარჩენილი ნაწილი - 558000,0 (ხუთას ორმოცდათვრამეტი ათასი) ლარი გადაიხადა ასევე დადგენილ ვადაში - 2018 წლის 19 ივნისს. აღნიშნულის გათვალისწინებით შპს „NEWLINE“-მა სრულად შეასრულა ქონების სრული ღირებულების გადახდის ვალდებულება, შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 06 ივლისის №2355 ბრძანებით, დადასტურდა შპს „NEWLINE“-ის (საიდ/კოდი 248435180) მიერ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2018 წლის 02 მაისის №1/2018 ოქმითა და 2018 წლის 17 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული აუქციონზე შეძენილი ქონების საბოლოო ღირებულების - 630000,0 (ექვსას ოცდაათი ათასი) ლარის სრულად გადახდა და მასზე გაიცა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა, რომლითაც ქ. ბათუმში, შ.ხიმშიაშვილის ქუჩაზე მდებარე 581,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.24.05.191) საკუთრებაში გადაეცა ოქმით/ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო ვალდებულებების შესრულების პირობით.

შპს „NEWLINE“-მა 2018 წლის 10 სექტემბერს წერილით მომართა (№26164/25) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას, რომელშიც აღნიშნა, რომ მიმდებარე სახლების მაცხოვრებლები წინააღმდეგი არიან აუქციონზე შეძენილი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების (არსებული ნარგავების და ხაზობრივი ნაგებობის გადატანა) და ითხოვა მშენებლობის დასაწყებად და დასასრულებლად, მოსახლეობასთან კონფლიქტური სიტუაციის მოგვარებამდე ახალი ვადების დადგენა. შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ შპს „NEWLINE“-ს დაუდგინა ობიექტის მშენებლობის დაწყების და დასრულების ახალი ვადები: დაწყების - ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვე (17 ნოემბერის 2018წ.) და დასრულების ხელშეკრულების გაფორმებიდან 16 თვე (17 სექტემბერი 2019 წ.).

შპს „NEWLINE“-მა 2018 წლის 08 ნოემბერს კვლავ მომართა წერილით (№30785/25) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას, იმის თაობაზე, რომ მათ აღებული აქვთ მშენებლობის ნებართვა (№004233; 05.11.2018წ.), დაწყებული იქნა მოსამზადებელი სამუშაოები (ტერიტორიის შემოღობვა), თუმცა მოსახლეობა კვლავ წავიდა მიწის ნაკვეთზე მშენებლობის განხორციელების წინააღმდეგი (აუცილებელი გახდა პოლიციის გამოძახებაც), რის გამოც ითხოვა მშენებლობის ვადების კონფლიქტური სიტუაციის მოგვარებამდე კვლავ გადავადება. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ შპს „NEWLINE“-ს ობიექტის მშენებლობის დასაწყებად და დასასრულებლად კვლავ დაუწესა (№25/20908; 19.11.2018წ.) დამატებითი ვადები: დასაწყებად - არაუგვიანეს 2019 წლის 01 თებერვლისა და დასასრულად - არაუგვიანეს 2020 წლის 01 თებერვლისა.

დამატებით დაწესებულ ვადაში შპს „NEWLINE“-ს მიერ მშენებლობის დაწყებისას მეორდება იგივე სიტუაცია (მოსახლეობის წინააღმდეგობა). შესაბამისად შპს „NEWLINE“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას ამჯერადაც მომართავს წერილით (№3023/25; 31.01.2019წ.) და იგივე პრობლემების გამო ამჯერადაც ითხოვს მშენებლობისათვის დადგენილი ვადების გადავადებას. შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია იძულებულია შპს „NEWLINE“-ს ობიექტის მშენებლობის

დასაწყებად და დასასრულებლად კვლავ დაუწესოს (№25/1338; 31.01.2019წ.) დამატებითი ვადები: დასაწყებად - არაუგვიანეს 2019 წლის 01 მაისისა და დასასრულად - არაუგვიანეს 2020 წლის 01 მაისისა.

შპს “NEWLINE”-მა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს 2019 წლის 03 აპრილს მომართა მორიგი წერილით (№26; №10126/25), რომელშიც აღნიშნავს, რომ 2018 წლის 17 მაისს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და შპს “NEWLINE”-ს შორის გაფორმდა პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულება, რომლითაც შპს “NEWLINE”-ს წარმოეშვა ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის მშენებლობის ვალდებულება. მშენებლობის მიზნით მან მიიღო მშენებლობის სანებართვო მოწმობა (სმ N004233; ბრძანება N1501). სამშენებლო სამუშაოების დაწყების ხელისშემშლელი გარემოება აღმოჩნდა მოსახლეობის წინააღმდეგობა, რის გამოც რამდენჯერმე მოუწიათ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისადმი მომართვა მშენებლობის დაწყებისა და დასრულების ვადების გადაწევასთან დაკავშირებით, რომლებიც ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წერილებით (№#25/17008, 17.09.2018წ.; №25/20908, 19.11.2018წ. და №25/1338, 31.01.2019წ.) დაკმაყოფილდა (წერილები თანდართული აქვს). ბოლო წერილის შესაბამისად, მშენებლობის დაწყების თარიღად განსაზღვრულია 2019 წლის 01 მაისი, თუმცა ხელის შემშლელი გარემოებები კვლავ არსებობს. აღნიშნულიდან გამომდინარე ითხოვს 2018 წლის 17 მაისის ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელებას, კერძოდ, ხელშეკრულების 2.3. პუნქტის შემდეგი სახით ჩამოყალიბებას: „აუქციონში გამარჯვებული უფლებამოსილია საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე ააშენოს ერთ-ერთი შემდეგი საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექ(ებ)ტი: საგამოფენო დარბაზი, უნივერსალური მაღაზია, სავაჭრო ცენტრი, სილამაზის სალონი, ოფისი“ და ხელშეკრულების 2.4. პუნქტის გაუქმებას.

აქვე აღსანიშნავია, რომ ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩაზე (შ. ხიმშიაშვილის ქ. N9ა-ს მიმდებარედ) მდებარე 581,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.24.05.191) საწყისი საპრივატიზებო საფასური შეადგენდა 240000,0 (ორას ორმოცი ათასი) ლარს, ხოლო ვაჭრობის შედეგად დაფიქსირდა 558 000,0 (ხუთას ორმოცდათვრამეტი ათასი) ლარი და იმის გათვალისწინებით, რომ მშენებლობის დაუწყებლობა არ არის განპირობებული შპს “NEWLINE”-ის ბრალეულობით და ამ ვითარებაში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, შპს “NEWLINE”-ის მხრიდან მოთხოვნილი იქნება აღნიშნული, გადახდილი თანხის უკან დაბრუნება, მიზანშეწონილია დაკმაყოფილდეს შპს “NEWLINE”-ის თხოვნა ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელების თაობაზე, რომლის მიხედვით მას ექნება უფლებამოსილება და არა ვალდებულება ხელშეკრულებით განსაზღვრული მშენებლობის განხორციელებისა, რომლის რეალიზება შესაძლებელია მოხდეს მოსახლეობასთან შეთანხმების მიღწევის შემდეგ. სხვა პირობები მიზანშეწონილია დარჩეს უცვლელი.

აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და შპს “NEWLINE”-ს შორის 2018 წლის 17 მაისის, პირობებით გამოცხადებული აუქციონის №8 ხელშეკრულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები: ა) ხელშეკრულების 2.3. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „აუქციონში გამარჯვებულს უფლებამოსილია საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე ააშენოს ერთ-ერთი შემდეგი საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექ(ებ)ტი: საგამოფენო დარბაზი, უნივერსალური მაღაზია, სავაჭრო ცენტრი, სილამაზის სალონი, ოფისი; ბ) ხელშეკრულებიდან ამოღებული იქნას 2.4. პუნქტი

(მშენებლობის განხორციელების ვადები) და აქედან გამომდინარე გ) ხელშეკრულებიდან ამოღებული იქნას 3.8. პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი (მშენებლობის ვადების დარღვევისას პირგასამტეხლოს დაწესება).

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18 საკრებულოს წევრი

არ ესწრებოდა - 5 (ი. პატარიძე, ლ. ანთაძე, მ. ქამადაძე, რ. ზოიძე, ნ. დუმბაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

8. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილებს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ელენე ჭოლიკიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინამდებარე განკარგულების მიღება განპირობებულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქციის „ბათუმის“ შექმნიტა და შესაბამისად ფრაქციის მიერ ფრაქციის თავმჯდომარისა და თავმჯდომარის არჩევით. აღნიშნულის თანახმად მიზანშეწონილია ცვლილება შეტანილ იქნას დადგენილების საშტატო ერთეულში. საკრებულოს ფრაქციის საშტატო ერთეულს დაემატოს 1 ერთეული და რაოდენობა ნაცვლად 4-ისა განისაზღვროს 5 ერთეულით და საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის საშტატო ერთეულს დაემატოს ერთი ერთეული და რაოდენობა ნაცვლად 5-ისა განისაზღვროს 6 ერთეულით.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18 საკრებულოს წევრი

არ ესწრებოდა - 5 (ი. პატარიძე, ლ. ანთაძე, მ. ქამადაძე, რ. ზოიძე, ნ. დუმბაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

9. ინფორმაცია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ავარიული და სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი საცხოვრებელი შენობა-ნაგებობების შესახებ.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი ეგარსლან ლომაძე;

თანამომხსენებელი: ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს“ დირექტორი სულხან ევგენიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 18 იანვრის №37-12 წერილით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას ეთხოვა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ავარიული და სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი საცხოვრებელი შენობების შესახებ დეტალური და ვრცელი ინფორმაციის, ასევე, არსებული პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებული მუნიციპალიტეტის პერსპექტიული ხედვებისა და ამოცანების მიწოდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2017 წლის 13 დეკემბერს გამოიცა №2387 ბრძანება „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ამორტიზებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (შენობა-ნაგებობების) მდგომარეობის შეფასების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებსა და მერიის დაქვემდებარებულ მყოფ ორგანიზაციებს დაევალათ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ავარიული და ამორტიზებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (შენობა-ნაგებობების) მდგომარეობის სრულყოფილი შესწავლა. შემდგომ, ამ სახლებთან დაკავშირებული ღონისძიებების ეტაპობრივი განხორციელება. აღნიშნული ბრძანების ფარგლებში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს“ დაკვეთით, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ განხორციელდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე 34 ავარიული საცხოვრებელი შენობა-ნაგებობის საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნის მომზადება. წარმოდგენილი დასკვნების თანახმად, ექსპერტიზა მიიჩნევს, რომ 19 შენობის აღდგენა-გამაგრება გაუმართლებელია, არ არის მიზანშეწონილი, ავარიულია და სახლის ან/და მისი ცალკეული ზონების ექსპლუატაცია საფრთხის შემცველია (სულ ოჯახების რაოდენობა 740). ხოლო, 2 შენობა-ნაგებობის (ტბეთის ქ. №4, ოჯახების რაოდენობა - 10 და ი. ნონეშვილის ქ. №3, ოჯახების რაოდენობა - 3; სულ ოჯახების რაოდენობა - 13) არსებული სახით ექსპლუატაცია არ არის მიზანშეწონილი, ან დაუშვებელია. კერძოდ:

1. ოძელაშვილის ქ. №20 - (დასკვნა №5005924018; 19.09.2018წ.) - საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობა არაადამაკმაყოფილებელია, ხოლო, მიშენებული ნაწილების კონსტრუქციიდან გამომდინარე, არსებული სახით მისი ექსპლუატაცია საფრთხის შემცველია. შენობის გამაგრება და სამშენებლო ნორმებთან შესაბამისობაში

მოყვანა არარენტაბელურობის გამო არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად, ოჯახების რაოდენობა - 123.

2. გ. ბრწინვალეს ქ. №48 - (დასკვნა№5006994418; 05.11.2018წ.) - საცხოვრებელი სახლი ავარიულია და საფრთხის შემცველია. დაზიანებათა დიდი მოცულობიდან და შენობის კონსტრუქციული სქემიდან გამომდინარე, შენობის აღდგენა არარენტაბელურობის გამო არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად; ოჯახების რაოდენობა - 25.

3. ყაზბეგის ქ. №16 - (დასკვნა№5006485418; 16.10.2018წ.) - საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობა არაადამაკმაყოფილებელია, ხოლო ცალკეული ზონები ავარიულია და საფრთხის შემცველია. აღსადგენი ზონების მასშტაბებისა და დაზიანებათა ხასიათიდან გამომდინარე, შენობის აღდგენა, მისი არარენტაბელურობის გათვალისწინებით, არ მიგვაჩნია გამართლებულად; ოჯახების რაოდენობა - 33.

4. კახაბრის ქ. №34 - (დასკვნა№5007677618; 05.12.2018წ.) - საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობა არაადამაკმაყოფილებელია, ხოლო ცალკეული ზონები საფრთხის შემცველია. მიშენებული ნაწილების კოსტრუქციული სქემა და რკინა-ბეტონის ელემენტების ზომები ვერ აკმაყოფილებენ სამშენებლო და სეისმური ნორმების მოთხოვნებს. შენობა საჭიროებს სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას, დეტალური გამოკვლევის შედეგების საფუძველზე დამუშავებული კონსტრუქციული პროექტის მიხედვით; ოჯახების რაოდენობა - 44.

5. გ. კვინიტაძის ქ. №1 - (დასკვნა№5006834118; 27.10.2018წ.) - საცხოვრებელი სახლის ვიზუალური დათვალიერებით მისი ტექნიკური მდგომარეობა არაადამაკმაყოფილებელია. შენობა, კონსტრუქციული ელემენტების სახეობიდან გამომდინარე, მიეკუთვნება კაპიტალურობის IV გჯუფს და მისი ექსპლუატაციის ვადა შეადგენს 50 წელს. ფაქტობრივად, შენობა ამორტიზებულია. ვინაიდან შენობის მზიდ კონსტრუქციულ ელემენტებს განცდილი აქვს მაღალი ფიზიკური და ასაკობრივი ცვეთა, მისი აღდგენა-გამაგრება გაუმართლებლად მიგვაჩნია და გარკვეული საფრთხეების შემცველობის გამო, შემდგომი ექსპლუატაცია არ არის მიზანშეწონილი; ოჯახების რაოდენობა - 4.

6. გ. კვინიტაძის ქ. №3 - (დასკვნა№5006837618; 27.10.2018წ.) - საცხოვრებელი სახლის ვიზუალური დათვალიერებით, მისი ტექნიკური მდგომარეობა არაადამაკმაყოფილებელია. შენობა, კონსტრუქციული ელემენტების სახეობიდან გამომდინარე, მიეკუთვნება კაპიტალურობის IV გჯუფს და მისი ექსპლუატაციის ვადა შეადგენს 50 წელს. ფაქტობრივად, შენობა ამორტიზებულია. ვინაიდან შენობის მზიდ კონსტრუქციულ ელემენტებს განცდილი აქვს მაღალი ფიზიკური და ასაკობრივი ცვეთა, მისი აღდგენა-გამაგრება გაუმართლებლად მიგვაჩნია და გარკვეული საფრთხეების შემცველობის გამო, შემდგომი ექსპლუატაცია არ არის მიზანშეწონილი; ოჯახების რაოდენობა - 10.

7. იმერხევის ქ. №4 - (დასკვნა№5006841218; 27.10.2018წ.) - საცხოვრებელი სახლის ვიზუალური დათვალიერებით, მისი ტექნიკური მდგომარეობა არაადამაკმაყოფილებელია. შენობა, კონსტრუქციული ელემენტების სახეობიდან გამომდინარე, მიეკუთვნება კაპიტალურობის IV გჯუფს და მისი ექსპლუატაციის ვადა შეადგენს 50 წელს. ფაქტობრივად, შენობა ამორტიზებულია. ვინაიდან შენობის მზიდ კონსტრუქციულ ელემენტებს განცდილი აქვს მაღალი ფიზიკური და ასაკობრივი ცვეთა, მისი აღდგენა-გამაგრება გაუმართლებლად მიგვაჩნია და გარკვეული საფრთხეების შემცველობის გამო, შემდგომი ექსპლუატაცია არ არის

მიზანშეწონილი. ასევე საფრთხის შემცველია მიშენებული ნაწილების ექსპლუატაცია სამშენებლო სეისმურ ნორმებთან შეუსაბამობის გამო; ოჯახების რაოდენობა - 10.

8. მწვანე კონცხი, მარკოზ აჭარელის მე-3 შესახვევი №36 - (დასკვნა №5007181818; 12.11.2018წ.) - საცხოვრებელი შენობა ამორტიზებულია, ხანდაზმულობიდან გამომდინარე, მისი ტექნიკური მდგომარეობა არადაამაკმაყოფილებელია, ხოლო ცალკეულ ზონებში შენობა ავარიულია. არსებული სახით შენობის ექსპლუატაცია საფრთხის შემცველია. დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე, მისი აღდგენა არ არის მიზანშეწონილი; ოჯახების რაოდენობა - 3.

9. რურუას ქ. №1 - (დასკვნა №5006934118; 01.11.2018წ.) - საცხოვრებელი სახლის (ს/კ 05.25.10.029) ვიზუალური დათვალიერებით მისი ტექნიკური მდგომარეობა არადაამაკმაყოფილებელია. შენობა კონსტრუქციული ელემენტების სახეობიდან გამომდინარე მიეკუთვნება კაპიტალურობის III გჯუფს და მისი ექსპლუატაციის ვადა შეადგენს 100 წელს. ნათლად ჩანს, რომ დაზიანებები შენობას მიყენებული აქვს მოუვლელობით, კაპიტალური სარემონტო სამუშაოების დიდი ხნის მანძილზე ჩაუტარებლობით და მოსახლეობის მიერ შიდა თვითნებური გადაკეთებების მეშვეობით. მიზეზს წარმოადგენს აგრეთვე დაზიანებული წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სისტემები, რის გამოც სარდაფებში პერიოდულად ხდება წყლის დაგროვება. ფუძე-გრუნტის მზიდუნარიანობის შესუსტებისა და გამორეცხვის შედეგად, შესაძლებელია მოხდეს ჯდენითი დეფორმაციების განვითარება, რაც ისედაც ავარიული შენობის (ამაზე მეტყველებს შენობაზე არსებული მჭიმები) კონსტრუქციულ მდგრადობას საფრთხეს შეუქმნის. შენობის გამაგრება და სამშენებლო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად ჩასატარებელი სამუშაოების არარენტაბელურობიდან გამომდინარე. ოჯახების რაოდენობა - 72.

10. ტაბიძის ქ. №7 - (დასკვნა №5006909718; 05.11.2018წ.) - საცხოვრებელი სახლის (ს/კ 05.25.11.374) ვიზუალური დათვალიერებით, მისი ტექნიკური მდგომარეობა არადაამაკმაყოფილებელია. შენობა, კონსტრუქციული ელემენტების სახეობიდან გამომდინარე, მიეკუთვნება კაპიტალურობის III გჯუფს და მისი ექსპლუატაციის ვადა შეადგენს 100 წელს. დაზიანებები შენობას მიყენებული აქვს მოუვლელობითა და თვითნებურად განხორციელებული დაშენება-მიშენებების შედეგად. მიშენებული ნაწილების კონსტრუქციიდან გამომდინარე, არსებული სახით მისი ექსპლუატაცია საფრთხის შემცველია. შენობის გამაგრება და სამშენებლო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად არარენტაბელურობის გამო. ოჯახების რაოდენობა - 74.

11. ფრ. ხალვაშის გამზ. №16 - (დასკვნა №5006904218; 30.10.2018წ.) - საცხოვრებელი სახლის (ს/კ 05.32.11.316) ვიზუალური დათვალიერებით მისი ტექნიკური მდგომარეობა არადაამაკმაყოფილებელია. შენობა, კონსტრუქციული ელემენტების სახეობიდან გამომდინარე, მიეკუთვნება კაპიტალურობის IV გჯუფს და მისი ექსპლუატაციის ვადა შეადგენს 50 წელს. ფაქტობრივად, შენობა ამორტიზებულია. ვინაიდან შენობის მზიდ კონსტრუქციულ ელემენტებს განცდილი აქვს მაღალი ფიზიკური და ასაკოვბრივი ცვეთა, მისი აღდგენა-გამაგრება გაუმართლებლად მიგვაჩნია და შემდგომი ექსპლუატაცია არ არის მიზანშეწონილი გარკვეული საფრთხეების შემცველობის გამო. ოჯახების რაოდენობა - 5.

12. ფრ. ხალვაშის გამზ. №206 - (დასკვნა №5006845018; 26.10.2018წ.) - საცხოვრებელი სახლის (ს/კ 05.35.28.313) ვიზუალური დათვალიერებით, მისი ტექნიკური მდგომარეობა არადაამაკმაყოფილებელია. შენობა, კონსტრუქციული ელემენტების სახეობიდან გამომდინარე, მიეკუთვნება კაპიტალურობის IV გჯუფს

და მისი ექსპლუატაციის ვადა შეადგენს 50 წელს. ფაქტობრივად, შენობა ამორტიზებულია. ვინაიდან შენობის მზიდ კონსტრუქციულ ელემენტებს განცდილი აქვს მაღალი ფიზიკური და ასაკოვბრივი ცვეთა, მისი აღდგენა-გამაგრება გაუმართლებლად მიგვაჩნია და შემდგომი ექსპლუატაცია არ არის მიზანშეწონილი გარკვეული საფრთხეების შემცველობის გამო. ოჯახების რაოდენობა - 8.

13. ჰაიდარ აბაშიძის ქ. №21 - (დასკვნა №5006938818; 30.10.2018წ.) - საცხოვრებელი სახლის ვიზუალური დათვალიერებით, მისი ტექნიკური მდგომარეობა არაადამაკმაყოფილებელია. შენობა, კონსტრუქციული ელემენტების სახეობიდან გამომდინარე, მიეკუთვნება კაპიტალურობის III გჯუფს და მისი ექსპლუატაციის ვადა შეადგენს 100 წელს. ფაქტობრივად, შენობა ამორტიზებულია. ვინაიდან შენობის მზიდ კონსტრუქციულ ელემენტებს განცდილი აქვს მაღალი ფიზიკური და ასაკოვბრივი ცვეთა, მისი აღდგენა-გამაგრება შესაძლებელია, თუმცა, ჩასატარებელი სამუშაოების დიდი მოცულობისა და ღირებულებებიდან გამომდინარე, მიგვაჩნია გაუმართლებლად. გარკვეული საფრთხეების შემცველობის გამო, შენობის შემდგომი ექსპლუატაცია არ არის მიზანშეწონილი. ცალკე საფრთხის შემცველია მიშენებული ნაწილების ექსპლუატაციაც სამშენებლო სეისმურ ნორმებთან შეუსაბამობის გამო. ოჯახების რაოდენობა - 11.

14. კახაბრის ქ. №30 - (დასკვნა №5007746718; 10.12.2018წ.) - საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობა არაადამაკმაყოფილებელია, ხოლო ცალკეული ზონები საფრთხის შემცველია. მიშენებული ნაწილების კონსტრუქციული სქემა და რკინა-ბეტონის ელემენტების ზომები ვერ აკმაყოფილებს სამშენებლო და სეისმური ნორმების მოთხოვნებს. შენობა საჭიროებს სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას დეტალური გამოკვლევის შედეგების საფუძველზე დამუშავებული კონსტრუქციული პროექტის მიხედვით. ოჯახების რაოდენობა - 34.

15. იმედაშვილის ქ. №25 - (დასკვნა №5005768217; 17.10.2017წ.) - ვიზუალური დათვალიერებით, ქ. ბათუმში, იმედაშვილის ქ. №25-ში მდებარე შენობების ტექნიკური მდგომარეობა არაადამაკმაყოფილებელია. აუცილებელია მათი ტექნიკური მდგომარეობის დეტალური გამოკვლევა და მიღებული შედეგებისა და ეკონომიკური თვალსაზრისის გათვალისწინებით, შენობების დემონტაჟი, ან გამაგრება ამ მიზნით სპეციალურად დამუშავებული პროექტების მიხედვით. აივნების ტექნიკური მდგომარეობა მწვავედ ავარიულია, ვერ უზრუნველყოფს მობინადრეების უსაფრთხოებას, მათი შემდგომი ექსპლუატაცია კატეგორიულად დაუშვებელია და ექვემდებარება დემონტაჟს. ამ მიზნით სპეციალურად დამუშავებული დემონტაჟის პროექტის მიხედვით. ოჯახების რაოდენობა - 20.

16. ტბ. აბუსერიძის ქ. №29ა - (დასკვნა №5003799617; 07.07.2017წ.) - ვიზუალური დათვალიერებით, ქ. ბათუმში, ტბ. აბუსერიძის ქ. #29ა-ში მდებარე შენობის მიშენებული ნაწილის საძირკვლის ფუძის ჯდენის გამო, მიშენებული ნაწილი გადაიხარა ვერტიკალური სიბრტყიდან ეზოს მიმართულებით და, ძირითადი შენობის ღია აივნებთან მიშენებული ნაწილის ხისტად შეერთების გამო, თან წაიყოლა ძირითადი შენობის მზიდი კონსტრუქციები, რაც განსაკუთრებით შესამჩნევია შენობის ტორსულ კედლებთან მდებარე ბინებში. უნდა აღინიშნოს, რომ საძირკვლის ფუძის ჯდენის დინამიკური პროცესი კვლავ მიმდინარეობს, რადგან გარემონტებულ ბინებში ბზართა წარმოქმნა გრძელდება. შენობის ამ ნაწილის ტექნიკური მდგომარეობა არაადამაკმაყოფილებელია. ვერ უზრუნველყოფს მობინადრეთა უსაფრთხოებას და მისი შემდგომში ექსპლუატაცია დაუშვებელია. ქ. ბათუმში, ტბ. აბუსერიძის ქ. №29ა-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შემდგომი ნორმალური ექსპლუატაციისათვის, აუცილებელია დაუყოვნებლივ ჩატარდეს

შენობის უკანა მხარეს მოგვიანებით განხორციელებული მიშენების ტექნიკური მდგომარეობის დეტალების გამოკვლევა და მიღებული შედეგების საფუძველზე, დაუყოვნებლივ განხორციელდეს შენობის მიშენებული ნაწილის გამაგრება ამ მიზნით სპეციალურად დამუშავებული გაძლიერების პროექტის მიხედვით, ან დემონტაჟი ამ მიზნით სპეციალურად დამუშავებული დემონტაჟის პროექტის მიხედვით. ოჯახების რაოდენობა - 50.

17. შავშეთის ქ. №29 - (დასკვნა №5004127413; 08.10.2013წ.) - ქ. ბათუმში, შავშეთის ქ.#29-ში მდებარე შენობის ვიზუალური დათვალიერებით, შენობის უკანა კედელზე შეინიშნება დახრილი და ვერტიკალური ბზარები. ბზარები შეინიშნება ოთახებში, შენობის შუაში არსებულ დერეფნებში, შემოსასვლელში, კიბის უჯრედში. სახურავის დაზიანების გამო, ჩამორეცხილი და დახავსებულია კედლები, ჩამოცვენილია ჭერიდან ნალესი, მთლიანად ამორტიზებულია იატაკი და კარ-ფანჯრების ხის კონსტრუქციები. ოთახებში და დერეფნებში ჩანგრეულია იატაკი, იატაკები დახრილია გარე პერიმეტრის მხარეს. სველ წერტილებში ჩამონგრეულია ჭერის ხის კონსტრუქციები, ამძვრალია თუნუქის ფურცლები და საფრთხეს უქმნის მობინადრეების სიცოცხლეს. დერეფნებში და ოთახებში ყრია სამშენებლო ნაგავი, აყრილია იატაკი, არის ანტისანიტარიული მდგომარეობა. შენობის ტექნიკური მდგომარეობა არაადამაკმაყოფილებელია, საფრთხეს უქმნის მობინადრეების სიცოცხლეს და მისი შემდგომი ექსპლუატაცია დაუშვებელია. ქ. ბათუმში, შავშეთის ქ.№29-ში მდებარე შენობის შემდგომი უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის აუცილებელია შენობის ტექნიკური მდგომარეობის დეტალური გამოკვლევა, მიღებული შედეგების საფუძველზე და, ეკონომიკური შეფასებიდან გამომდინარე, შენობის გამაგრება და რეკონსტრუქცია ამ მიზნით სპეციალურად დამუშავებული პროექტის მიხედვით, ან დემონტაჟი ამ მიზნით სპეციალურად დამუშავებული დემონტაჟის პროექტის მიხედვით. ოჯახების რაოდენობა - 74.

18. გენ. ასლან აბაშიძის ქ. №7 - (დასკვნა №5001502719; 12.03.2019წ.) - ქ. ბათუმში, გენერალ ასლან აბაშიძის ქ. №7-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობა არაადამაკმაყოფილებელია. მიშენებული ნაწილები შესრულებულია კუსტარულად და უხარისხოდ, რის გამოც, მიღებული დეფორმაციები აღემატება სამშენებლო ნორმებით დასაშვებ მნიშვნელობას. ცალკეული ზონები ავარიულ მდგომარეობაშია და მათი ექსპლუატაცია საფრთხის შემცველია. აუცილებელია დროულად განხორციელდეს მიშენებული ნაწილების დემონტაჟი და ძირითადი შენობის მიმდებარე ზონის გამაგრება-გაძლიერება, სათანადოდ დამუშავებული კონსტრუქციული პროექტის მიხედვით. ოჯახების რაოდენობა - 70.

19. ჯავახიშვილის ქ. №78 - (დასკვნა №5001484619; 14.03.2019წ.) - ქ. ბათუმში, ჯავახიშვილის №78-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი არის ავარიულ მდგომარეობაში. მიშენებული ნაწილების დეფორმირების პროცესი პროგრესირებს, რაც საფრთხეს უქმნის მობინადრეთა სიცოცხლეს. აუცილებელია დაუყოვნებლივ შეიზღუდოს მიშენებული ნაწილების ექსპლუატაცია და განხორციელდეს მათი დასაძირკვლებისა და მზიდი კონსტრუქციების გამოკვლევა, რისთვისაც საჭიროა წარმოდგენილი იქნას მიშენებების კონსტრუქციული პროექტი და საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები. გამაგრების შესაძლებლობის შემთხვევაში, საჭიროა დროულად განხორციელდეს შესაბამისი სამუშაოები, სათანადოდ დამუშავებული პროექტის მიხედვით, ხოლო გამაგრებითი ღონისძიებების გატარების გაუმართლებლობის შემთხვევაში, აუცილებელია, განხორციელდეს მათი დემონტაჟი. კვლევების ჩატარებამდე, უსაფრთხოების მიზნით, ასევე აუცილებელია

ეზოში მიშენებული ნაწილების მიმდებარე ზონები შემოირობოს უსაფრთხოების წესების დაცვით. ოჯახების რაოდენობა - 70.

20. ტბეთის ქ. №14 - (დასკვნა №5001428519; 07.03.2019წ.) - ქ. ბათუმში, ე.წ. ბენზეს დასახლებაში, ტბეთის ქ. #14-ში მდებარე საცხოვრებელი შენობა, ხანდაზმულობიდან გამომდინარე, ამორტიზებულია, მისი ტექნიკური მდგომარეობა არაადაპტაციოა. ჩასატარებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების დიდი მოცულობის გათვალისწინებით, შენობის აღდგენა არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად არარენტაბელურობიდან გამომდინარე. სანიტარიული ნორმების მოთხოვნათა თვალსაზრისით, შენობის ექსპლუატაცია არსებული სახით დაუშვებელია. ოჯახების რაოდენობა - 10.

21. ი. ნონეშვილის №3 - (დასკვნა №5006512918; 11.10.2018წ.) - საცხოვრებელი სახლის ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა არაადაპტაციოა. მზიდი კონსტრუქციიდან გამომდინარე, შენობა მიეკუთვნება კაპიტალურობის მეოთხე ჯგუფს და მისი გამოსადეგობის ვადა შეადგენს 50 წელს. შენობა ამორტიზებულია, ვინაიდან შენობის მზიდ კონსტრუქციულ ელემენტებს განცდილი აქვს ფიზიკური და ასაკოვბრივი ცვეთა, მისი აღდგენა-გამაგრება მიგვაჩნია გაუმართლებლად. არსებული სახით შენობის ექსპლუატაცია არ არის მიზანშეწონილი. ოჯახების რაოდენობა - 3.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული ურთულესი გამოწვევა, რაც დაკავშირებულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ავარიული და სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი შენობა-ნაგებობების ლიკვიდაციასთან, მისი მასშტაბურობიდან გამომდინარე, ვერ განხორციელდება მხოლოდ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ფინანსური, ასევე, ქონებრივი რესურსებით. შესაბამისად, მიზანშეწონილია, საკითხის გადაწყვეტა მოხდეს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობითა და მხარდაჭერით. ამ მიმართულებით, პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებლად მიგვაჩნია რამდენიმე მეთოდის გამოყენებით, ან/და მათი კომბინირებით, რომელთა საერთო მიზანი იქნება მოსახლეობისათვის ჯანსაღი/უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნა და ქალაქის იერსახის გაუმჯობესება:

1. ქ. ბათუმის მუნიციპალური პროგრამის შემუშავების გზით, რომლის ფარგლებშიც, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საბინაო ფონდის გამოყენებით, ეტაპობრივად მოხდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ავარიული და სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი შენობა-ნაგებობების ლიკვიდაცია. პროგრამის შემუშავება და ძალაში შესვლა უნდა მოხდეს არაუგვიანეს 2020 წლისა და მისი მოქმედების ვადა უნდა იყოს საფრთხის შემცველი ყველა შენობა-ნაგებობების სრულ ლიკვიდაციამდე პერიოდი.

2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ავარიული და სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი შენობა-ნაგებობების დემონტაჟი და მათ ადგილზე მუნიციპალიტეტის ფინანსური რესურსებით ახალი საცხოვრებელი შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის შესაბამისი ასიგნების გათვალისწინება უნდა დაიწყოს არაუგვიანეს 2020 წლისა და გაგრძელდეს საფრთხის შემცველი ყველა შენობა-ნაგებობების სრულ ლიკვიდაციამდე.

4. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ავარიული და სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი შენობა-ნაგებობების მესაკუთრეებისათვის ერთჯერადად 20 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის კომპენსაციის სახით გადაცემა, მათ საკუთრებაში არსებული ფართის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, რომლის შემდგომ,

მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ავარიული და სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი შენობა-ნაგებობის ლიკვიდაცია. შესაბამისი ასიგნების გათვალისწინება უნდა დაიწყოს არაუგვიანეს 2020 წლისა და გაგრძელდეს საფრთხის შემცველი ყველა შენობა-ნაგებობების სრულ ლიკვიდაციამდე.

5. დეველოპერული კომპანიების ინფორმირება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ავარიული და სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი შენობა-ნაგებობების შესახებ, მათთვის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიწოდება, იმ მიზნით, რომ კომპანიებმა, დაინტერესების შემთხვევაში, უზრუნველყონ სალიკვიდაციო შენობების ადგილებზე ახალი მშენებლობების განხორციელება, რა დროსაც ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ, შესაძლებლობის ფარგლებში, გადაწყვეტილი იქნება პოტენციური ინვესტორების წინაშე არსებული ტექნიკური სახის პრობლემური საკითხები.

საკითხის ამ მიმართულებით წარმართვისათვის საჭიროა სათანადო საინფორმაციო სამუშაოს ჩატარება, საკრებულოს, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ყველა სხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობით. პარალელურად, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 52-ე მუხლის თანახმად, უნდა მოხდეს შენობა-ნაგებობის მესაკუთრეების/მობინადრეების ინფორმირება/შეტყობინება შენობა-ნაგებობის ავარიულობის, ამ შენობა-ნაგებობებიდან ადამიანის სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხის თაობაზე.

გარდა აღნიშნულისა, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია აგრძელებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მრავალბინიანი, შესაძლო ავარიული, ამორტიზებული და საფრთხის შემცველი სხვა შენობა-ნაგებობების გამოვლენის სამუშაოებს. იმ შემთხვევაში, თუ საინჟინრო კვლევის შედეგად დადგინდება, რომ შენობა-ნაგებობის არსებული სახით ექსპლუატაცია საფრთხის შემცველია ადამიანთა სიცოცხლისათვის, დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე, მისი აღდგენა არ არის მიზანშეწონილი და ექვემდებარება სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებას, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 52-ე მუხლის თანახმად, მოახდენს შენობა-ნაგებობის მესაკუთრეების/მობინადრეების ინფორმირებას/ შეტყობინებას შენობა-ნაგებობის ავარიულობის, ამ შენობა-ნაგებობებიდან ადამიანის სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:

სულიკო თებიძე

ოქმის სისწორეს
ვადასტურებ:

რ. ბოლქვაძე – საკრებულოს აპარატის უფროსი

ვიზირებულია:

ე. ჭოლიკიძე - საკრებულოს აპარატის იურიდიული
განყოფილების უფროსის მ/შ.

მ. თურმანიძე საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი

ოქმი შეადგინა:

მ. წულუკიძე – საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი სპეციალისტი